



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 2/00

„14“ თებერვალი 2011

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ი. ქოჩიაშვილი / ილია გოცირიძე

14 თებერვალი
„-----“ 2011 წელი

გვ. N2

სსიპ - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი
„ფრინგელის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა
და მასზე რეაგირების“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის
განვითარების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ, 2007 წლის 1 იანვრიდან
2010 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში, სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფო
ქონების განკარგვა-გამოყენების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგების
შესახებ

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი გვ 2

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი გვ 4

1. პროექტის დასაფინანსებლად მიღებული სახსრების აღრიცხვის, ხარჯვისა და ანგარიშგების კანონიერებაგვ 4
 2. პროექტის ფარგლებში საანგარიშსწორებო ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა და დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის რეალობა.....გვ 6
 3. პროექტის ფარგლებში შეძენილი მატერიალური მარაგების აღრიცხვისა და დაცვის მდგომარეობა.....გვ 7
 4. პროექტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობაგვ 7
- ნაწილი III - აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანიგვ 14

ნაწილი I - შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 9 დეკემბრის N 103/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - სსიპ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზირი N 6.

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი.

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თენგიზ ბაზაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორი თამარ ფიცხელაური და აუდიტორ-ასისტენტი გიორგი კაპანაძე.

აუდიტის პერიოდი - 2007 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 ოქტომბრამდე.

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 10 დეკემბერს და დამთავრდა იმავე წლის 30 დეკემბერს. აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

გამოყენებული ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონები: “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ” და „გრანტის შესახებ“;

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 18 ივლისის დადგენილება N3477-რს; საერთაშორისო ხელშეკრულებები:

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 18 იანვრის N14 დადგენილება;

2006 წლის 9 ივნისის ხელშეკრულება-შეთანხმება გაფორმებული საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის იაპონიის N TF-056631 გრანტის შესახებ;

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულება (ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი) - კრედიტი N 4179-GE და გრანტი N228-GE.

2006 წლის 18 დეკემბრის წერილი-შეთანხმება გაფორმებული საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის ადამიანისა და ფრინველის გრიპის ფონდის N TF 057 342 გრანტის შესახებ;

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2006 წლის 11 ოქტომბრის N 257 ბრძანება;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 31 ივლისის ერთობლივი ბრძანება, სსიპ - “მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის” შესახებ.

შემოკლებანი:

1. საკოორდინაციო ცენტრი - სსიპ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი „ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში

პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი;

2. სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

3. (IFAD) - სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი;

4. (PHRD) - იაპონური გრანტი;

5. PIT – პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი;

6. (IDA) - განვითარების საერთაშორისო ასოციაცია.

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი

1. პროექტის დასაფინანსებლად მიღებული სახსრების აღრიცხვის, ხარჯვისა და ანგარიშგების კანონიერება.

საკოორდინაციო ცენტრი შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N149 ბრძანებულების განხორციელების მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2001 წლის 1 მაისის N2-74 და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2001 წლის 1 მაისის N86 ერთობლივი ბრძანების საფუძველზე და დამტკიცდა ცენტრის დებულება (დებულებამ ბოლო ცვლილება განიცადა 2006 წლის 31 ივლისის N2-139 – N 911 ბრძანებით).

საკოორდინაციო ცენტრის შექმნის მიზანია „სოფლის განვითარების პროექტის“, „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის“, „ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისთვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტის ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტის“ და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული, საქართველოსა და დონორებს შორის შეთანხმებული აგრარულ სექტორში განსახორციელებელი სხვა პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა.

საკოორდინაციო ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის, მსოფლიო ბანკის

და სხვა დონორების მიერ დამტკიცებული წესების, სახელმძღვანელო დებულებების, რეკომენდაციების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობა არ არის მიმართული მოგების მისაღებად. მისი შემოსავლები გამოიყენება სამსახურის მიზნებისა და მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2006 წლიდან დაიწყო ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტის შესრულება.

პროექტის შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს პრემიერ-მინისტრის¹ ბრძანებით შეიქმნა “საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილი “დაფინანსების ხელშეკრულებით” გათვალისწინებული “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტის” განმახორციელებელი ჯგუფი (PIT), რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის, ბ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და გ) ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები და პროექტის საზოგადოებრივი გათვითცნობიერებისა და ინფორმირების კომპონენტის კოორდინატორი.

ჯგუფს (PIT) ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის კანცელარიის წარმომადგენელი. ამავე დროს პროექტს ჰყავს კონსულტანტი, რომლის ფუნქციაა ჯგუფის დახმარება პროექტის ყოველდღიური მართვისა და განხორციელების საკითხებში.

პროექტი შედგება 3 კომპონენტისაგან : 1. ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა 2. ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა 3. ინფორმირება და კომუნიკაცია.

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული დაფინანსების ხელშეკრულების² თანახმად საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციას წარმოადგენს მხოლოდ ცხოველთა დაცვის კომპონენტში, პროექტისათვის შესასრულებელი შესყიდვების ჩატარება და დონორის წინაშე შესაბამისი ფინანსური

¹ 2006 წლის 11 ოქტომბრის N257


² დანართი N 2, პუნქტი 2

აღრიცხვა-ანგარიშების წარმოება მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების საფუძველზე.

საკოორდინაციო ცენტრი არ არის ჩართული პროექტის პროგრამულ ნაწილში და ამიტომ არ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. შესყიდვების გეგმა მტკიცდება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIT) მიერ და თანხმდება მსოფლიო ბანკთან.

პროექტის დამთავრების ვადაა 2011 წლის 28 თებერვალი.

აუდიტის პერიოდში პროექტის ფარგლებში გახარჯულია 3328,4 ათასი ლარი, მათ შორის გრანტები -2291,6 ათასი ლარი, კრედიტები - 596,9 ათასი ლარი და თანადაფინანსება - 439,9 ათასი ლარი, მათ შორის არაფინანსური აქტივების შეძენისათვის გახარჯულია 2376,1 ათასი ლარი



2. პროექტის ფარგლებში საანგარიშსწორებო ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა და დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის რეალობა

საკოორდინაციო ცენტრი როგორც სსიპ-ი ფინანსურ ანგარიშგებას ახორციელებს ერთი მხრივ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მეორეს მხრივ, დონორების მოთხოვნით ანგარიშგება წარმოებს (აშშ დოლარებში)

მათთვის მისაღები ფორმატით: საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (IPSAS) საკასო მეთოდით.

ზემოაღნიშნულის გამო საკოორდინაციო ცენტრი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ორივე სახის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

პროექტის ფარგლებში მიღებული სახსრებიდან საკუთარი საჭიროებისათვის გაწეული ხარჯები მოცემულია ცხრილში:

	ათასი ლარი
ხელფასები	126,8
კავშირგაბმულობა	2,3
სხვა ხარჯები	4,7
სულ	133,8

საკოორდინაციო ცენტრის დებიტორული დავალიანება 2010 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენს 51,2 ათას ლარს. ესაა ავანსად გადახდილი თანხები, რაც გათვალისწინებულია შესყიდვის ხელშეკრულებებით.

კრედიტორული დავალიანება არ გააჩნია.

3. პროექტის ფარგლებში შეძენილი მატერიალური მარაგების აღრიცხვისა და დაცვის მდგომარეობა.

პროექტის ფარგლებში საკოორდინაციო ცენტრის საჭიროებისათვის არაფინანსური აქტივების ზრდა არ განხორციელებულა, ამასთან შეძენილია 291,2 ლარის კომპიუტერული ტექნიკის მარაგ-ნაწილები, რომელთა აღრიცხვა განხორციელდა ბუღალტრული ანგარიშგების შესაბამისად.

4. პროექტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

აუდიტის პერიოდში საკოორდინაციო ცენტრის მიერ ჩატარებულია 4 საერთაშორისო ტენდერი, ერთი „მომსახურების შესყიდვა ერთადერთი წყაროდან“, 6 ადგილობრივი ტენდერი, 8 „შესყიდვა თაოდან“ (რაც შეესაბამება 2010 წლის 1 დეკემბრამდე

მოქმედ შესყიდვების შესახებ კანონით განსაზღვრული „ფასთა კოტირების“ მეთოდით შესყიდვას).

შესყიდვების დროს გამოყენებულია როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტები. აუდიტის პერიოდში განხორციელებული საერთაშორისო ტენდერები და შესყიდვა ერთადერთი წყაროდან წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

ლოტის N	კონტრაქტის დადების თარიღი	კონტრაქტორი	შესყიდვის საგანი	კონტრაქტის ღირებულება
საერთაშორისო ტენდერები				
1	15.11.2007	შპს "დდდ"	სადეზინფექციო ხსნარი	201 500 ლარი
2	26.11.2007	შპს „ჯი-პი-სი“	დამცავი საშუალებები	243 013 ლარი
	18.03.2009	შპს "სენა ავტო"	30 ავტომობილი „ტოიოტა“	740 250 აშშ დოლარი
1	7.12.2009	შპს "მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები"	ქირურგიული ინსტრუმენტები	17 870 ლარი
2	4.12.2009	ვალტექსი	მრავალფუნქციური შემაფრქვევლები	123 100 აშშ დოლარი
3	4.12.2009	ვალტექსი	ავტომატური შემაფრქვევლები	72 000 ევრო
	22.07.2010	შპს "ჯი-თი გრუპი"	თერმული ნისლის შემაფრქვევლები	117 644 აშშ დოლარი
მომსახურების შესყიდვა ერთადერთი წყაროდან				
	15.02.2010	"რიგი კინისვარა"	სასაზღვრო გამშვები და ინსპექტირების პუნქტების დიზაინი	262 222 აშშ დოლარი

2007 წლის 23 სექტემბერს ჩატარებული საერთაშორისო ტენდერი შედგებოდა 5 ლოტისაგან. პირველ ლოტზე (სადეზინფექციო ხსნარი) ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა შპს „დდდ“-სთან 201.5 ათ. ლარზე, ხოლო მეორე ლოტზე (დამცავი ტანსაცმელი და სხვა საშუალებები) - შპს „ჯი-პი-სი“-სთან 243.0 ათ ლარზე. ორივე გამარჯვებული გამოვლინდა უმცირესი ფასის მიხედვით. მესამე ლოტზე (შემაფრქვევლები) არც ერთი სატენდერო წინადადება არ ყოფილა წარმოდგენილი, ხოლო მეოთხე (მაცივრები) და მეხუთე (ქირურგიული ინსტრუმენტები) ლოტებზე

ხელშეკრულებები არ დადებულია იმის გამო, რომ შემოთავაზებული ფასები რამდენჯერმე აღემატებოდა შესყიდვების გეგმით გათვალისწინებულ ღირებულებას.

2008 წლის 27 ნოემბერს ჩატარებულ ტენდერში 30 ცალი „პიკაპის“ ტიპის ავტომანქანის შესყიდვაზე მონაწილეობას იღებდა 5 პრეტენდენტი, რომელთაგანაც გაიმარჯვა შპს „სენა ავტომ“. სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 740.3 ათ. აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ 2 პრეტენდენტს შემოთავაზებული ჰქონდა გამარჯვებულზე დაბალი ფასი, თუმცა ისინი დისკვალიფიცირებულნი იქნენ ტექნიკურ სპეციფიკაციებთან შეუსაბამობისა და სატენდერო დოკუმენტაციის არასრულყოფილების გამო, კერძოდ: შპს „ივერია მოტორსი“-ს მიერ შემოთავაზებულ ჩინური წარმოების ავტომობილებს მოთხოვნილზე ნაკლები სიმძლავრე აღმოაჩნდათ, რაც სატენდერო კომისიის მიერ ავტომობილების დანიშნულებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გადახრად იქნა მიჩნეული. რაც შეეხება შპს „ლაქშარი ქარზ“-ის სატენდერო წინადადებას, შეთავაზებული „ნისანის“ მარკის ავტომობილები სრულად აკმაყოფილებდნენ ტექნიკურ სპეციფიკაციებს, თუმცა სატენდერო წინადადების ფასი და ავტომობილის დასახელება მსოფლიო ბანკის მიერ მოთხოვნილი ფორმის ნაცვლად ინვოისებით იქნა წარმოდგენილი, რამაც გამოიწვია პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

მოწოდების ვადების დარღვევისათვის „სენა ავტოს“ საჯარიმო სანქციების სახით დაეკისრა 14.3 ათ. აშშ დოლარი, რაც გამოქვითული იქნა ხელშეკრულების ღირებულებიდან.

2009 წლის 5 ივნისს ჩატარებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 3 შესყიდვა. პირველი ლოტზე (ქირურგიული ინსტრუმენტები) გაიმარჯვა „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებმა“, რომელმაც აღნიშნული საქონელი მოაწოდა ყველაზე დაბალ ფასად - 17.9 ათ. ლარად. მოწოდების ვადების დარღვევის გამო საკოორდინაციო ცენტრმა ხელშეკრულების თანხიდან მომწოდებელს (კონტრაქტორს) დაუკავა 191.5 ლარი. მეორე (2 ცალი მრავალფუნქციური შემაფრქვეველი) და მესამე (100 ცალი ავტომატური შემაფრქვეველი) ლოტებზე გაიმარჯვა შპს „ვალტექსმა“. მეორე ლოტზე იგი წარმოადგენდა ერთადერთ

პრეტენდენტს, ხოლო მესამე ლოტზე დანარჩენი 2 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია მოხდა იმის გამო, რომ მათ მიერ შემოთავაზებული შემაფრქვევლებს არ გააჩნდათ მოთხოვნილი წარმადობა. ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა შესაბამისად 123.1 ათ. აშშ დოლარი და 72.0 ათ. ევრო.

მომდევნო ტენდერი თერმული ნისლის შემაფრქვევლებზე გამოცხადდა 2010 წლის 5 მაისს ვებგვერდზე: www.dgmarket.com³ და გაზეთ „24 საათში“.⁴ განცხადებებში მითითებულია პრეტენდენტთა შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: „კონკურსში მონაწილემ უნდა მოახდინოს მის მიერ წინადადებაში წარმოდგენილი საქონლის მოწოდების ერთი ან მეტი კონტრაქტის განხორციელების დემონსტრირება ბოლო 5 წლის განმავლობაში და აღნიშნული საქონლის წარმატებით გამოყენება მინიმუმ 1 წლის განმავლობაში“. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულ პრეტენდენტს შპს „ჯი-თი გრუპი“ აღნიშნული საქონლის წარმატებით გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

საკოორდინაციო ცენტრის შესყიდვების სპეციალისტის განმარტებით, აღნიშნული ტენდერის შემთხვევაში იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებიც მითითებულ იქნა მოწვევაში წინადადების წარმოდგენის შესახებ სატენდერო წინადადებების შეფასების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

ამგვარად მიგვაჩნია, რომ რეალურად იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ შესაბამის მოთხოვნას და არ იყვნენ გათვითცნობიერებულნი მსოფლიო ბანკის შესყიდვების ზემოაღნიშნული წესების სპეციფიკაში, ასეთი საკვალიფიკაციო პირობა შეიძლება გამხდარიყო ტენდერში მონაწილეობისაგან თავის შეკავების მიზეზი. აღნიშნულ ლოტზე სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 117.6 ათ. აშშ დოლარი.

სასაზღვრო გამშვები და კონტროლის პუნქტების კონცეპტუალური დიზაინის პროექტირების მომსახურების შესყიდვისათვის 2008-2009 წლებში საკოორდინაციო

³ ტენდერებისა და შესყიდვების პორტალი საერთაშორისო განვითარების ბანკებისა და სამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

⁴ 6 მაისის ნომერში

ცენტრის მიერ www.dgmarket.com-ზე 2 ჯერ იქნა გამოცხადებული მოწვევა, თუმცა ორივე შემთხვევაში ინტერესი არავის გამოუთქვამს.

ამის შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ (რომლის დაქვემდებარებაშიც შედიოდა სასაზღვრო ინსპექტირების პუნქტები) საკოორდინაციო ცენტრისათვის აღნიშნული საპროექტო სამუშაოს შემსრულებლად შეთავაზებული იქნა ესტონეთის სახელმწიფო უძრავი ქონების კომპანია „რიგი კინისვარა“.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკოორდინაციო ცენტრმა, მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით, ტენდერის ნაცვლად შესყიდვა განახორციელა „მომსახურების შესყიდვა ერთადერთი წყაროდან“ მეთოდით, რომლის დროსაც 15.02.2010 დაიდო შესაბამისი ხელშეკრულება კომპანია „რიგი კინისვარა“- სთან.

ტენდერის მიზანი იყო ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი სასაზღვრო კონტროლისა და გამშვები პუნქტების დაპროექტება საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისთვის, ეფექტური საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად. აქცენტირება უნდა გაკეთებულიყო ფიტოსანიტარული და ვეტერინარული შემოწმებების გაუმჯობესებაზე, რათა არ მომხდარიყო ცხოველთა, ადამიანთა ინფექციური და მცენარეთა დაავადებების გავრცელება სხვა ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე.

ხელშეკრულების მიხედვით უნდა შექმნილიყო სასაზღვრო ინსპექტირების პუნქტის კონცეპტუალური დიზაინი. აღნიშნული პროექტი თავის მხრივ მოდულებისაგან შედგებოდა, რაც შესაძლებელს გახდიდა ცალკეული მოდულების არჩევას, კომბინირებასა და ნებისმიერი სასაზღვრო ინსპექტირების პუნქტის მოთხოვნებისადმი მისადაგებას კონკრეტული პუნქტის საჭიროებიდან გამომდინარე. ამას გარდა, კონსულტანტს ხელშეკრულების მიხედვით მოეთხოვებოდა პროექტის ფარგლებში შემავალი ხუთივე სასაზღვრო კონტროლის პუნქტისათვის (სადახლო, წითელი ხიდი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, სარფი, ფოთი) რეკომენდაცია გაეწია სურსათის შემოწმების ლაბორატორიების მშენებლობაზე და წარმოედგინა სურსათის შემოწმების მცირე ლაბორატორიის

პროექტი მისთვის საჭირო მოწყობილობების ჩათვლით რომელიც ევროკავშირის სტანდარტებს დააკმაყოფილებდა.

კონსულტანტი ვალდებული იყო შეექმნა 2 სასაზღვრო-გამშვები პუნტის პროექტი (სადახლო და წითელი ხიდი) და უზრუნველყო სრული დოკუმენტაციის მომზადება რომელიც სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის იქნებოდა საჭირო.

ხელშეკრულების მაქსიმალური ღირებულება განსაზღვრულ იქნა 262.2 ათ. აშშ დოლარით. „რიგი კინისვარასთვის“ გადახდილი მომსახურების ღირებულებიდან 115.0 ათ. აშშ დოლარი შეადგენდა მათ მიერ გაწეული მომსახურებისა და ანაზღაურებად ხარჯებს, ხოლო 85.0 ათ. აშშ დოლარი გათვალისწინებულ იქნა სუბკონტრაქტორებისთვის (შპს „მაგისტილი“ – 53.0 ათ. აშშ დოლარი, შპს „ტარი ას“ – 32.0 ათ. აშშ დოლარი), რომლებმაც ჩაატარეს დიზაინის სამუშაოები.

ადგილობრივი ტენდერების დროს განხორციელდა 5 სამშენებლო და 3 მომსახურების შესყიდვა(მათ შორის 2 საკონსულტაციო):

ლოტის N	კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღი	კონტრაქტორი	შესყიდვის საგანი	კონტრაქტის ღირებულება
ადგილობრივი კონკურენტული ტენდერი				
1	09.09.2010	უნივერსალური სამშენებლო ჯგუფი	გასაკვეთი ოთახების მშენებლობა-ქუთაისი	99 908 ლარი
2	10.09.2010	შპს „ალიანსი“	გასაკვეთი ოთახების მშენებლობა-ახალციხე და თბილისი	253 651 ლარი
3	14.09.2010	სს „ტრასმშენი“	გასაკვეთი ოთახების მშენებლობა-გურჯაანი	111 588 ლარი
	20.09.2010	შპს „შარა“ და ინდ.საწარმო „ინტერიერი“	რუსთავის საქალაქო ოფისის რემონტი	39 848 ლარი
მომსახურების შერჩევა კვალიფიკაციაზე დაყრდნობით				
	07.06.2010	შპს „აიტი ნოლიჯი“	კომპიუტერის შემსწავლელი კურსები	2 700 აშშ დოლარი
	23.02.2010	შპს „საქპროექტარქიტექტურა“	გასაკვეთი ოთახების პროექტირება და ზედამხედველობა	16 500 ლარი
	22.04.2009	ვალერი რეგანი	კონსულტანტი ბრუცელოზის საკითხებში	28 949 აშშ დოლარი

09.07.2007	გოგა უთმელიძე	ადგილობრივი კონსულტანტი	104 649 ლარი
------------	---------------	----------------------------	-----------------

ვეტერინარული სამსახურისათვის გასაკვეთი ოთახების მშენებლობისათვის 4 ქალაქში (თბილისი, ახალციხე, გურჯაანი და ქუთაისი) ჩატარებულ ადგილობრივ ტენდერში გაიმარჯვა სამმა სამშენებლო ორგანიზაციამ, რომლის დროსაც შეფასების ძირითადი კრიტერიუმი იყო შემოთავაზებული უმცირესი ფასი. სულ მშენებლობის ღირებულება შეადგენს 465.1 ათ. ლარს.

ზემოაღნიშნული მშენებლობების საპროექტო სამუშაოები შესყიდულია ასევე ადგილობრივი ტენდერის საშუალებით და მისი ღირებულება შეადგენს 16.5 ათ. ლარს.

პროექტის ფარგლებში შესყიდულია აგრეთვე 39.8 ათ. ლარის ღირებულების, „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის“ რუსთავის საქალაქო ოფისის სარემონტო სამუშაოები.

პროექტის მართვის საკითხებში საჭირო საკონსულტაციო მომსახურება ასევე შესყიდულია ადგილობრივი ტენდერით, რომლის ღირებულებამ შეადგინა 104.7 ათ. ლარი. ფაქტობრივად 2010 წლის 1 ოქტომბრისათვის ათვისებულია 90.6 ათ. ლარი.

„თაროდან შესყიდვით“ განხორციელდა სხვადასხვა სახეობისა და დანიშნულების სპეცტანსაცმლისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა.

2009 წელს შპს „ომეგასაგან“ (ხელშეკრულება #P-24-09) შესყიდულია 42 ცალი საყოფაცხოვრებო დანიშნულების მაცივარი „TOSHIBA“ 33970 ლარად. საკვალიფიკაციო განაცხადით მოთხოვნილი ერთ-ერთი პარამეტრი იყო - მაცივრის სიმაღლე არანაკლებ 180 სანტიმეტრი. ფაქტობრივად შესყიდული მაცივრების სიმაღლეა 174 სმ. მეორე მონაწილის: შპს „მატეკს ჯორჯიას“ შეთავაზებული მაცივარი აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას, მათ შორის სიმაღლე იყო 180 სმ. თუმცა ფასი (46158ლ) აღემატებოდა შპს „ომეგას“ მიერ შეთავაზებულს 12188 ლარით, რის გამოც საბოლოოდ უპირატესობა მიენიჭა შპს „ომეგას“.

რეკომენდაცია: მიგვაჩნია რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საკვალიფიკაციო მოთხოვნები ტენდერში მონაწილეობის მსურველთათვის არ არის აუცილებლად შესასრულებელი პირობა, სასურველია გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება.

ნაწილი III - აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

“საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ კონტროლის პალატაში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96, ასევე სასამართლოში - კანონით დადგენილი წესით.


აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი
თ. ბაზაძე



11.02.11წ.

აუდიტორი
თ. ფიცხელაური



11.02.11წ.

აუდიტორ-ასისტენტი
გ. კაპანაძე



11.02.11წ.